

ნოვალი ბართაია

**ქართულში უამოსული სპარსული ლექსიკა
იოსებ ბრიშაშვილის "ქალაქური ლექსიკონის" მიხედვით**

(ადაბხანა, ავგარდანი, აქანდაზი, ბადგირი, ბალახანა, ბაბთა, ბუსა, გაქირი, სიაფანდი, სუზანი)

1. ადაბხანა//ადაფხანა

იოსებ ბრიშაშვილს ამ სიტყვის განმარტება ვახტანგ კოტეტიშვილის მიერ 1934 წელს გამოცემული "ხალხური პოეზიიდან" მოაქვს — "ფეხსადგილი, ზარული, ჩეჩმა". გარდა ამისა, მოჰყავს მაგალითები, სადაც ფიგურირებს ეს სიტყვა: "შენი ბიძა ვირის აბანოდან ადაფხანის აბანოში ჩააბრძანეს" (შ. დავით., ხალხოსანთა მოძრაობა საქართველოში, 1933, გვ. 73); "თქმულნი შენნი ყველა კაი ადაფხანური შექარია" ("ივერია", 1879 წ., № 7-8, გვ. 101)" (ი. ბრიშაშვილი, 1997).

სპარსულ ენაში არის არაბულიდან შესული სიტყვა **ادا** (ადაბ) შემდეგი მნიშვნელობით: 1. ზრდილობა, თავაზიანობა; 2. ლიტერატურა, საიდანაც ნაწარმოებია კომპოზიტი **ادبا** (ადაბხანე): 1. ზეპ. სასწავლებელი; 2. საპირფარეშო (სპარსულ-რუსული ლექსიკონი, 1983).

თხზული სიტყვის პირველი წევრია **ادا** (ადაბ) "საპირფარეშო", მეორე — **خا** (ხანე) "სახლი".

როგორც ჩანს, **ادبا** (ადაბ ხანე) ერთი სემანტიკური დატვირთვით (საპირფარეშო) შემოსულა სპარსულიდან ქართულში.

2. ავგარდანი

ავგარდანი — 1. გრძელტარიანი, ღრმა ჩამჩა. 2. ანუ აბგარდანი — სპილენძის ტოლჩა (ი. ბრიშაშვილი, 1997).

ავგარდანი ანუ აბგარდანი იგივეა, რაც სპარსული თხზული სიტყვა **ابگردان** (აბგარდანი) — ჩამჩა (სპარსულ-რუსული ლექსიკონი, 1983).

კომპოზიტის პირველი ელემენტია **اب** (აბ) "წყალი", მეორე — **گردان** (გარდანი), რომელიც (გარდიდან) "ტრიალი ზმნის აწმყო ღროის მიმდევობა" (სპარსულ-რუსული ლექსიკონი, 1983).

3. აქანდაზი

აქანდაზი — რკინის მომცრო ნიჩაბი, ნადვერდლის გამოსაღები (აქენდაზ - ხაქის, მიწის ასაღები ხელსაწყო) (ი. ბრიშაშვილი, 1997).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, აქანდაზი — პატარა ნიჩაბი (ნაგვის, ნაკვერჩხლის, ნაცრის... ასაღებად (ქეგლ). მითითებულია მისი სპარსული წარმომავლობა.

მართლაც, აქანდაზი მომდინარეობს სპარსული თხზული სიტყვიდან **خاک آنداز** /**خاك انداز**/ - ნაგვის გადასაყრელი ნიჩაბი (სპარსულ-რუსული ლექსიკონი, 1983).

ეს თხზული სიტყვა შედგება ორი კომპონენტისაგან: **خاك** /ხაქ/ „მიწა“, „მტვერი“ და **چاندان** /ანდაზ/, რომელიც არის **چاندان** /ანდახთან/ „გადაგდება“, „გადაყრა“ ზმნის აწმყო დროის ფუძე.

“ქალაქურ ლექსიკონში” ცალკეა განმარტებული სიტყვა ხაქა (< ხაქ) შემდეგი სახით: “მიწა, მტვერი. ნახშირის ხაქა”. თუმცა ლექსიკონის ავტორი მას ვერ უკავშირებს აქანდაზს, რომლის პირველი წევრი აქ წარმოადგენს სპარსული **خاك** (ხაქ) ლექსემის ქართულ ფონეტიკურ ვარიანტს.

4. ბადგირი

ბადგირი — ბინის ფანჯარა, სანათური. გამიგონია „ღარბაზის ბადგირი“ (ი. გრიშაშვილი, 1997).

სპარსულ ენაში არის კომპოზიტი სიტყვა **گير باد** /ბადგირ/ შემდეგი მნიშვნელობებით:

گير باد (ბადგირ) — I. 1. გასანიავებელი ღიობი, სარკმელი; 2. გამოსაწოვი მილი; 3. რადიატორი (ძრავის); 4. კომფორი (სამოვრის); 5. რგოლი (ყალიონის)

گير باد (ბად გირ) — II. 1. მიმართული ქარის საპირისპიროდ; 2. ქარპირი მხარე (სპარსულ-რუსული ლექსიკონი, 1983).

კომპოზიტის პირველი წევრია **باد** (ბად) “ქარი”, მეორე — **گير** (გირ) **گرفتند** (გერეფთან) “აღება, დაჭერა” ზმნის აწმყო დროის ფუძეა.

ბადგირი ქართულში სპარსულიდან შემოსული ჩანს.

5. ბალახანა

ბალახანა — 1. ოთახში ოთახი, ოღონდ ჭერის ქვეშ; 2. ბალახანის მსგავსია; 3. ოთახშივე გაკეთებული ფიცრული, რომელიც ჭერთან აბლოს არის მიკრული და მუდმივ დასაწოლ-დასაძინებლად იხმარება: „ისე შევეფეს, რომ ორი კვირა დუქნის ბალახანაში ვიწექი“ („ივერია“, 1887წ., №1) (ი. გრიშაშვილი, 1997).

ბალახანა იგივეა, რაც სპარსული თხზული სიტყვა **خانه خا** (ბალა ხანე) შემდეგი მნიშვნელობებით: 1. ოთახი (ზედა სართულზე), მეზონინი; 2. ანტრესოლი (სპარსულ-რუსული ლექსიკონი, 1983).

კომპოზიტის პირველი წევრია **خانه** /ბალა/ “მალა”, მეორე — **خا** /ხანე/ “სახლი”.

6. ბაბთა

ბაბთა — “აბრეშუმის ვიწრო ჩაფარიში” (ი. გრიშაშვილი, 1997).

ჩაფარიში კი ამავე ლექსიკონში ასეა განმარტებული: “ნაპირებზე და ნაკერებზე დასაკერებელი ლენტი (ტისომკა), რომელსაც თერძები ახალუხის ნაოჭის სიმაგრისათვის შიგნით აკერებდნენ: “უცქერიან იმის უბრალოდ თეთრ ჩაფარიშით მორთულობას” (ნ. ავალ., თარგ. “თავადის ქალი“, 1896, გვ. 72).

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ბაბთას ფონეტიკური ვარიანტი ბაფთა განმარტებულია ასე: 1. წმინდა ძაფის მეჩხერი ქსოვილი (იყენებენ ჩვეულებრივ რამეზე მოსაველებლად; ფოჩებიანი ბ. გოგონების თმის შესაკრავად), — ლენტი (ქეგლ).

სპარსულ ენაში არის ზმნა **تفت** (ბაფთან), რომლის მნიშვნელობაა „ქსოვა“ (სპარსულ-რუსული ლექსიკონი, 1983). ამ ზმნის ნაშყო დროის მამლეობის ფორმაა **تفت** (ბაფთე) - 1. მოქსოვილი; 2. ქსოვილი.

ქართული ბაბთა/ზაფთა მომდინარე ჩანს სპარსული სიტყვიდან **تفت** (ზაფთე).

7. ბუსა

ბუსა — „კოცნა“ (ი. გრიშაშვილი, 1997).

სპარსულ ენაში არის ზმნა **بوسيد** (ბუსიდან), რომლის მნიშვნელობაა „კოცნა“. ამ ზმნის აწმყო დროის ფუძეა **بوس** (ბუს), მისგან ნაწარმოებია **بوسيد** (ბუსა/ბუსე) „კოცნა“ (სპარსულ-რუსული ლექსიკონი, 1983).

აშკარაა, რომ ბუსა სპარსული ენიდან პრის შემოსული ქართულში.

8. გაქირი

გაქირი — „ჭიუტი, კერპი, უჭიათო, თავისნათქვამა“. „ღვთისაგან ვანაჩენი სჭირდეს ყველა სენი, გამბობ მაინც ამას, ვით გაჭქირი ცხენი“ (ანტონ განჯისკარელი)... ილიას ეს სიტყვა უყვარდა. ერთ კერძო წერილშიაც სწერს: „ამ აჩრდილმა ტყავი გამაძრო. ისტორიულ ნაწილზე გაქირა ვირსავით შევედგ და ერთი ბიჭი წინ ვეღარ წავდგი“ (წერ. დ. ურისთავისადმი მიწერ. ინახება ცენტრ. არქივში) (ი. გრიშაშვილი, 1997):

ასევეა განმარტებული ეს სიტყვა ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც — (საუბ.) 1. ჭიუტი, ოჩანი: გაქირ ვირსავით შედგა. 2. სიჭიუტე, სიკერპე; გაქირს იზამს — გაჭიუტდება, გაკერპდება (ქეგლ).

საიდან მოდის ლექსიკური ერთეული გაქირი?

სპარსულ ენაში არის თხზული სიტყვა **گير گاه** /გაჭგირ/, რომლის მნიშვნელობებია: 1. ოჩანი, ველური (ცხენი); 2. ჟინიანი, ჭიუტი, ჭირვეული, გაუწონასწორებელი (სპარსულ-რუსული ლექსიკონი, 1983).

ეს სიტყვა შედგება ორი კომპონენტისგან: **گاه** (გაჰ) „ადგილი“ და **گير** (გირ), რომელიც არის **گرفت** „აღება, დაქერა“ ზმნის აწმყო დროის ფუძე. ნათელია, რომ გაქირი სპარსულიდან არის შემოსული ქართულში.

9. სიაბანდი

სიაბანდი/სიაფანდი — „იშკილბაზების დამხმარე კაცი“ (ი. გრიშაშვილი, 1997).

სპარსულში არის თხზული სიტყვა **بند سياه** (სიაჰბანდი), რომლის მნიშვნელობებია: (სასაუბრ.) ბაცაცა, ჭურდბაცაცა, ჭიბგირი; მატყუარა, თაღლითი; შულერი (სპარსულ-რუსული ლექსიკონი, 1983).

კომპოზიციის წევრებია: **سياه** სიაჰ/ „შავი“ და **بند** (ბანდი) — **بستن** /ბასთან/ „შეკერა“ ზმნის აწმყო დროის ფუძე.

ქართული სიაბანდი/სიაფანდი და სპარსული **بند سياه** (სიაჰბანდი) ერთი და იგივე ლექსემები ჩანს.

10. სუზანი

სუზანი — „ლურჯად ნაქსოვი გრძელი ზეწარი, რომელსაც ტახტზე გადააფარებდნენ ხოლმე მხოლოდ ზემოთ ხალიჩაზედ (ფრანგი მოგზაური

შარდენიც იხსენებს: „ჩარდახის ქვემო მხარეს გაკრული იყო ოქსინო, ხავერდი და ჭრელი ტილო“- ეს არის სუზანი (მ. ჯანაშ., 1889, გვ. 94). ტახტის სუზანი: ლურჯი და თეთრი, მიწა ლურჯი ჰქონდა, სახეშიც თეთრი შერეული. დაბალი ხარისხის იყო. აბანოს სუზანი ადგილი თეთრი, ზედ ფოთლები ნაკერი, უფრო მწვანით და წითელით მორეული. არ იყო სპეტაკი, სახე ნაკერი აბრეშუმით, აბრეშუმის გრძელი ფოჩები აქვს, საიარალო. შეძლებულნი მზითვში აძლევენ. ტახტის ლეიბზე („იანი ნაალი“) გადასაფარებელი ჭრელი (ცისფერი) ქსოვილი. „ყველაფერი ეს გამოუკრა ჯერ სუზანში, მერმე ფარდაგში და შეჰკრა მაფრაშასავით თოკებით“ („ოთარაანთ ქვრივი“, თავი XI; ი. გრიშაშვილი, 1997).

სპარსულ ენაში არის ლექსიკური ერთეული *سوزنی* (სუზანი). მისი მნიშვნელობებია: 1. პატარა თავსაფარი; მოქსოვილი აბრეშუმის ძაფით კილოკავის გვირისტით (ჩვეულებრივ დაუფენენ ჩაის სერვისს ან გადაფენენ სკამზე აბანოში). 2. კედელზე ჩამოსაკიდი ნაქსოვი. 3. ნემსით ნაქსოვი (ქეგლ).

ქართული სუზანი სპარსულიდან შემოსული ლექსიკური ერთეული ჩანს.

ლიტერატურა

ი. გრიშაშვილი, 1997 - ი. გრიშაშვილი, ქალაქური ლექსიკონი, თბ., 1997.

ქეგლ - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1950-1964.

Персидско-русский словарь под редакцией Ю.Рубинчика, Москва, 1985

NOMADI BARTAYA

BORROWINGS FROM PERSIAN VOCABULARY ACCORDING TO THE IOSEB GRISHASHVILI'S "KALAKURI DICTIONARY" ("CITY VOCABULARY") - I

We think that in the the Ioseb Grishashvili's "Kalakuri Leksikoni" the words: Adabxana, Avgardani, Akandazi, Badgiri, Balaxana, Babte, Busa, Gakiri, Siabandi and Suzani must originate from the following Persian lexical units: *ادبخانه* (Adabxane), *ابگردان* (abgardan), *خاک انداز* (Xakandaz), *بادگیر* (Badgir), *بالا خانه* (Balaxane), *بافته* (Bafte), *بوسه* (Busa), *گاه گیر* (Gahgir), *بند سیاه* (Siahband) and *سوزنی* (Suzani).